WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

საქართველოს რეკრეაციული ტყეების მართვის ინსტიტუციური მოდელი და სამოქმედო გეგმა

ფოტო: მიხეილ კასრაძე

CENN

2018

დოკუმენტი მომზადდა პროექტის *ტყის მდგრადი მართვა საქართველოში - ფაზა II* ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) ფინანსური მხარდაჭრითა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით.

ავტორი: ვინფრიდ ზუს

საკონტაქტო ინფორმაცია: Langseitenstraße 9/2/2
3012 Wolfsgraben
Austria
ტელ.: +43 223 370141
მობ.: +43 664 8197483
consulting@winfriedsuess.eu
www.winfriedsuess.eu

1 შინაარსი

1 შინაარსი 3

2 აკრონიმები 4

3 შესავალი 5

4 საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარების სცენარები და ხედვა 6

4.1 ბუნების ტურიზმის განვითარების სცენარები 6

4.2 ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვაში არსებულ ტყეებში ტურიზმის განვითარების ხედვა, მისია და მიზნები 8

5 ტყეებში ტურიზმით დაინტერესებული მხარეები 10

6 ტყეების ტურისტული პროდუქტები და პოტენციალი, როგორც დაცული ტერიტორიების დამატებითი შემოთავაზება 13

6.1 დაცული ტერიტორიების პრაქტიკის გავრცელების შესაძლებლობები სატყეო ფონდის ტერიტორიებზე 14

6.2 სატყეო ტურიზმის სპეციფიკა 15

7 ტურიზმის სტრატეგიის განხორციელების მოდელი 16

7.1 ტურიზმის განვითარების პოლიტიკა 17

7.1.1 ტყის მართვის ორგანიზება და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა 17

7.1.2 საშემოსავლო პოლიტიკა და კონცესიები 19

7.1.3 უსაფრთხოება 22

8 დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არსებულ ტყეებში რეკრეაციული და ტურისტული მომსახურების განვითარების სამოქმედო გეგმა 23

8.1 ტურისტული ინფრასტრუქტურის მართვისა და მომსახურების სისტემების მოდელების შემუშავება და შესაძლებლობების გაძლიერება 23

8.2 ტყეების სტრატეგიული ზონირება და რეკრეაციული ტყეების გამოყოფა 23

8.3 კონკრეტული ტყეების განვითარების გეგმების მომზადება მთის კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში 24

8.4 არსებულ ტურისტულ მარშრუტებსა და შეთავაზებებში ტყეებისა და ტყეების ღირსშესანიშნაობების ჩართვა 24

8.5 დაფინანსების მოდელის შემუშავება 25

8.6 ტყეების დივერსიფიცირებული მართვის მოდელის შემუშავება 26

2 აკრონიმები

ADC	ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის
APA	დაცული ტერიტორიების სააგენტო
BKNP	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
CBD	კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CNF	კავკასიის ბუნების ფონდი
GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
GTA	საქართველოს ტურიზმის ასოციაცია
HR	ადამიანური რესურსები
IUCN	ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი
MICE	შეხვედრები, სამოტივაციო ტურები, კონფერენციები, გამოფენები
MEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NACRES	სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
NACHPG	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NP	ეროვნული პარკი
PA	დაცული ტერიტორია
SBU	სტრატეგიული ბიზნეს ერთეული
TA	ტურისტული სააგენტო
TO	ტუროპერატორი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNEP	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
UNWTO	გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია
WB	მსოფლიო ბანკი
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

3 შესავალი

მრავალი წლის მანძილზე სატყეო სექტორში განვითარების მიმართულების არარსებობის შემდეგ, 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ეროვნული სატყეო კონცეფცია. კონცეფცია ემყარება ტყის რესურსების მდგრადი მართვის პრინციპს, რომელიც,თავის მხრივ, ხაზს უსვამს ტყეების მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობისათვის. შეიქმნა დაინტერესებულ მხარეებს შორის მუდმივი პოლიტიკური დიალოგის წარმოების პლატფორმა - ეროვნული სატყეო პროგრამა, რომელსაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს - ამჟამად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სატყეო პოლიტიკის სამსახური ხელმძღვანელობს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ეროვნული სატყეო სააგენტოს მოდერნიზებას იწყებს. არსებული ხედვის თანახმად, ტყის მრავალფუნქციური გამოყენება ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ბუნების ტურიზმისა და ეკოტურისტული მომსახურების განვითარება და ტყეების რეკრეაციული პოტენციალის ათვისება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტი ხდება. ტყის რესურსების რეკრეაციული გამოყენება შეამცირებს სოციალურ ზეწოლას ტყეებზე (მოსახლეობის მიერ მერქნის სათბობს რესურსად გამოყენება) და წვლილს შეიტანს სოფლის განვითარებაში ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე შემოსავლების ზრდის საშუალებით.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია საქართველოს რეკრეაციული ტყეების მართვის ინსტიტუციური და ეკონომიკური მოდელი და სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, დაეხმარება ეროვნულ სატყეო სააგენტოს ტყეების რეკრეაციული ფუნქციის მდგრადად გამოყენებასა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვაში.

საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარებას მაღალი **საბაზრო პოტენციალი** აქვს, რომელიც რამდენიმე სეგმენტს მოიცავს:

- **ადგილობრივი ბაზარი:** ოჯახები, ახალგაზრდები, რომლებიც ეცნობიან ბუნებას და კულტურას ან ეძებენ თავგადასავლებს, შემეცნებითი მიზნების მქონე სკოლის მოსწავლეები,[1] დიდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანები, ქართული დიასპორა;
- **მზარდი საერთაშორისო ბაზარი:** აქტიური და პასიური ეკოტურისტები, აქტიური და პასიური სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულები, დამსვენებლები ზღვის სანაპიროზე და/ან ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე, კრუიზის მონაწილეები, საქართველოში ბიზნესის მიზნით მყოფი ადამიანები და საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები;
- **ნიშური ბაზრები (ადგილობრივი და საერთაშორისო):** მეცნიერები, მკვლევარები, მასწავლებლები, სპელეოლოგები, სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მონაწილეები, ფრინველებზე დამკვირვებლები და სხვა.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, **ტრადიციულ საერთაშორისო ბაზრებს აქვთ გაზრდისა და გაფართოების კარგი პოტენციალი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს ათვისებული** შემდეგ ქვეყნებზე ორიენტირებული სარეკლამო კამპანიებისა და პროდუქტების საშუალებით: რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ისრაელი; **ევროკავშირის ბაზრები,** განსაკუთრებით, ბუნებასა და კულტურაზე მეტად ორიენტირებული ქვეყნები, როგორიცაა

[1]ადგილობრივი ვიზიტორების აღნიშნული კატეგორიები წარმოადგენენ გარემოსდაცვითი განათლებისა და ბუნების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კარგ საშუალებას. ეს არის დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, თუმცა ის ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზეც უნდა გავრცელდეს.

ბენელუქსის ქვეყნები, ბალტიისპირეთის ქვეყნები, გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და პოლონეთი, და **ოკეანისგაღმა ბაზრები,** როგორიცაა აშშ და ავსტრალია.

4 საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარების სცენარები და ხედვა

4.1 ბუნების ტურიზმის განვითარების სცენარები

ქვეყნის ბუნების სილამაზესა და სტუმართმოყვარეობის ტრადიციაზე დამყარებული საქართველოს ტურიზმის დარგი უკანასკნელ ათწლეულებში მნიშვნელოვნად განვითარდა. განსაკუთრებით ინტენსიურად ტურიზმი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვითარდება. აღნიშნული გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელოდ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ არსებულ ტყეებში ტურიზმის განვითარებისათვის. დაცულ ტერიტორიებში ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს საქართველოს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციას. ამასთან, ის იწვევს დამატებით დატვირთვას, რაც დაკავშირებულია ახალი ინფრასტრუქტურის, პროდუქტებისა და მომსახურების შექმნასთან. დღის წესრიგში დგას ბუნების, ბიომრავალფეროვნების და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფასა და სტუმრების გაზრდილ ნაკადთან დაკავშირებული ისეთი გამოწვევების უკეთ მართვა, როგორიცაა ცუდი გზები, პრობლემები წყალმომარაგებასა და ელექტროენერგიით მომარაგებაში, ინტერნეტით უზრუნველყოფასა და ნარჩენების მართვაში. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ცდილობენ ბალანსის დაცვას ბუნების კონსერვაციასთან, დაცვასა და მართვასთან დაკავშირებული საკუთარ უპირველეს დანიშნულებასა და იმ ღონისძიებებს შორის, რომლებმაც სტუმრების მოთხოვნები და მოლოდინები უნდა დააკმაყოფილოს. ეს ასევე ეხება ბიუჯეტს და მის გონივრულ გადანაწილებას.ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, შესაძლებელია დაცული ტერიტორიების ხარჯებისა და შემოსავლების ზრდის პროგნოზირებაც. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის რეჟიმის ქვეშ მყოფი ტერიტორიების ფართობი 2020 წლამდე გაორმაგდება და საქართველოს ტერიტორიის 15%-ს მიაღწევს, 1 კმ^2-ზე გათვლილი ხარჯის შენარჩუნების პირობებშიც კი, უკვე მნიშვენლოვნად იზრდება დაცული ტერიტორიების ბიუჯეტი,. თუმცა, თუ დაცული ტერიტორიების 1 კმ^2 ფართობისთვის გათვლილი თანხის მოცულობა გაიზრდება განვითარებული ტურიზმის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ბიუჯეტი 20 მილიონ ლარამდე მიაღწევს.

ტყეების ფართობის, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების სიმრავლის, ტყეების მართვის მიზნობრიობისა და სისტემის მოქნილობის გათვალისწინებით, განვითარების გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს ეროვნულ სატყეო სააგენტოს. აღნიშნული პოტენციალის რეალიზაცია მოითხოვს ტყის მართვის სინქრონიზაციას **პარალელურად მიმდინარე მომიჯნავე სახელმწიფო პროგრამებთან და სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებთან,** როგორიცაა: სივრცითი განვითარების გეგმების შემუშავება, მთის კურორტების განვითარების პროგრამა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურისტული მარშრუტების იდენტიფიცირება–მარკირების მიმდინარე პროექტები. საქართველოს ტყეებში რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარება მოითხოვს გრძელვადიანი, მკაფიო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებას. ამასთან, მნიშვნელოვანია **სწრაფი, მოკლევადიანი, გონივრული და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება,** რაც ხელს შეუწყობს უწყებათშორის კოორდინაციას და ყველა არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას ტყეების მდგრადი მართვის ფინანსურ–ეკონომიკური საფუძვლების შესაქმნელად. მაგალითად:

- ახალი სატყეო კოდექსის პროექტში გაწერილია ტყეების მულტიფუნქციური მართვის საკანონმდებლო ჩარჩო. თუმცა, არც მოქმედი კოდექსითაა შეზღუდული, რომ მართვის ორგანომ დაიწყოს მუშაობა პრიორიტეტული ფართობების გამოყოფასა და განვითარების გეგმების მომზადებაზე;
- ტყეების კატეგორიზაცია–ზონირება უნდა განხორციელდეს ინვენტარიზაციის მასალებზე დაყრდნობით, თუმცა, მანამდე შესაძლებელია განხორციელდეს ტყეების სტრატეგიული ზონირება და გამოიყოს ტურისტულ–რეკრეაციული ტყეები – თუნდაც მთის კურორტების განვითარების პროგრამის შესაბამისად;
- ტყეების ინვენტარიზაციის ხანგრძლივი პროცესი, რომლისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსიც ლიმიტირებულია, შესაძლოა მოერგოს მთის კურორტების განვითარებისა და სივრითი მოწყობის პროგრამების ლოკაციებს;
- ეროვნულ სატყეო სააგენტოს შესაძლებლობა აქვს შეიმუშავოს სერვისების მიწოდების სქემა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ იდენტიფიცირებულ და მარკირებულ საფეხმავლო მარშრუტებზე, რომელიც გადის სატყეო ფონდის ტერიტორიაზე;
- სატყეო ფონდის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას შეიძლება გადაიხედოს ტერიტორიის სატყეო ფონდიდან ამორიცხვის პრაქტიკა, რომელიც ზღუდავს ტყეების მულტიფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. პირობითად, ამის შედეგი შეიძლება იყოს ტურისტულ–რეკრეაციული ინფრასტრუქტურის პროქტის შემუშავება წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოვა ჰესების მშენებლობლობასთან და ექსპლოატაციასთან.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი სწორედ ინტეგრირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ დისკუსიისა და მათი შემუშავების საფუძველის უზრუნველყოფაა.

წინამდებარე სტრატეგია ტყეებში დიფერენცირებული და სპეციალიზებული სახის ტურიზმს გვთავაზობს. დაცულ ტერიტორიებს აქვთ განსაზღვრული სტრატეგია და სააგენტო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს საკუთარი განვითარებისაკენ. ტყეები ვიზიტორებისათვის უფრო გახსნილი უნდა იყოს და ამ კუთხით მათ დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებული დანიშნულება უნდა ჰქონდეთ. ეს ბუნებრივად გამომდინარეობს იმ გარემოდან და ღირსშესანიშნაობებიდან, რის შეთავაზებაც ტყეებს ვიზიტორებისათვის შეუძლიათ. მეორე მხრივ, ასეთი მიდგომა განპირობებულია ბაზრის მოთხოვნითა და ვიზიტორების მოლოდინებით. წარმოდგენილი სტრატეგია სრულად შეესაბამება ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს. ამიტომ, მთავარი აქცენტი კეთდება სხვადასხვა ზომების ტურისტული ნაკადების მართვაზე. საქართველოსა და კავკასიაში მოთხოვნა ეკოტურიზმზე კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მართვა იმისათვის, რომ ის დარჩეს იმ ფარგლებში, რომელიც გამორიცხავს უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

ნახ. 1: საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარების შესაძლო სცენარები

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ ავირჩევთ ტურიზმის განვითარების მესამე სცენარს, ადგილი ექნება **სპონტანურ განვითარებას,** რომელსაც კერძო ან რეგიონული ინტერესები, კერძო საერთაშორისო და ადგილობრივი კაპიტალის ინტერესები, ტურისტების პირადი ინტერესები, და სხვა ფაქტორები განაპირობებს. ასეთ განვითარებას ექნება უარყოფითი ზემოქმედება ყველა დაინტერესებულ მხარეზე, და საბოლოო ჯამში, ვიზიტორებზე. ასეთი ვითარება აღინიშნება რამდენიმე რეკრეაციულ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სპონტანური განვითარება.

მეორე **სცენარით** ტურიზმის განვითარება **იზღუდება.** ამ შემთხვევაში, ისევე როგორც დაცული ტერიტორიების გარკვეულ ნაწილებში, ტყეებში იზღუდება ვიზიტორების შესვლა და ტყე არა როგორც ადამიანებისთვის უნივერსალური ღირებულების მქონე და გარკვეული პირობებით მათთვის ხელმისაწვდომი სიკეთე, არამედ მხოლოდ კონსერვაციისა და დაცვის ობიექტად განიხილება. ასეთი სცენარი ადგილობრივი მოსახლეობისა და რეგიონების კეთილდღეობის ზრდას ხელს არ უწყობს. ეს მიდგომა ამცირებს ტყეების ადმინისტრაციების შესაძლებლობას, დააფინანსოს ბუნების კონსერვაციისა და მართვის ღონისძიებები, რასაც სახელმწიფო ისედაც არასაკმარისად აფინანსებს.

4.2 ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვაში არსებულ ტყეებში ტურიზმის განვითარების ხედვა, მისია და მიზნები

ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფ ტყეებში ტურიზმის განვითარება შეიძლება შემდეგი ხედვის, მისიისა და მიზნების შესაბამისად წარიმართოს:

ხედვა

- საქართველოს აქვს საკმარისი ფართობისა და პოტენციალის მქონე რეკრეაციული ტყეები იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს არსებული და პერსპექტიული რეგიონული მოთხოვნა. საქართველოს ტყეებში ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებს შუძლიათ იხილონ და შეიცნონ უნიკალური და განუმეორებელი ბუნება, მდგრადი ეკოსისტემური სერვისები და მიიღონ მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურება.
- რეკრეაცია წვლილს შეიტანს ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებაში, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა და ეროვნული სატყეო სააგენტოსა და მისი რეგიონული ადმინისტრაციების შემოსავლის პოტენციური წყარო.

მისია

- ტყეების კონსერვაციის, დაცვისა და მართვის ხელშეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორებისათვის უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტების, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების და კულტურული ლანდშაფტების ხილვისა და შეცნობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარება გაზრდის ტყის მართვის ორგანების შესაძლებლობებსა, აამაღლებს მათ ფინანსურ მდგრადობას და სარგებელს მოუტანს ტყიან ტერიტორიებზე ან ტყეების მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას.

მიზნები

- საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ხაზს უსვამს უსაფრთხო გარემოსა და ბუნებრივი ლანდშაფტებისა და ბუნებრივი, კულტურული და სოციალური გარემოს შემცველი ანთროპოგენური ლანდშაფტების რეკრეაციული ღირებულების დაცვის აუცილებლობას. სტრატეგია ხელს უწყობს კონკურენტული ხარისხიანი ტურისტული ბიზნესის განვითარებას და ქმნის ვიზიტორებისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის დამაკმაყოფილებელ პირობებს.

ნახ. 2: ტყეებში და დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის სტრატეგიული განვითარების რვა



კონკრეტული მიზანი

მიზანი 1: ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვაში არსებულ ტყეებში ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობისა და მათი კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდა, რაც გულისხმობს:

> ვიზიტორების რაოდენობის ზრდა
> მაღალშემოსავლიანი (საერთაშორისო) ვიზიტორების წილის ზრდა

მიზანი 2: ტყეებში ტურიზმითა და კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლების ზრდა და ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური მდგრადობის გაძლიერება მისი იმ უმთავრესი დანიშნულების უფრო ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ბუნებრივი ფასეულობების, ღირსშესანიშნაობებისა და მემკვიდრეობის მართვა, კონსერვაცია და დაცვა და ამ ფასეულობების ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის გაზიარება:

> ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა
> ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილის გაზრდა

მიზანი 3: ვიზიტორების მიერ ტყეებში გატარებული პერიოდით კმაყოფილების მაჩვენებლის ამაღლება

> პროდუქტებითა და მომსახურებით ვიზიტორთა კმაყოფილების ზრდა და უკმაყოფილების შემთხვევების შემცირება
> ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვაში არსებულ ტყეებში ვიზიტორების დაბრუნების მაჩვენებლის ზრდა

მიზანი 4: წვლილის შეტანა ადგილობრივი თემებისა და დაცულ ტერიტორიებზე და მათ მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის განვითარებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში

> ადგილობრივი თემების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად
> ადგილობრივ მოსახლეობაში იმ ადამიანების წილის ზრდა, რომლებიც ვიზიტორებს კონკრეტულ პროდუქტებს და მომსახურებას სთავაზობენ
> ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა ვიზიტორებისათვის კონკრეტული პროდუქტებისა და მომსახურების უზრუნველყოფის შედეგად
> ტურისტულ საქმიანობაში ადგილობრივი თემებისა და მოსახლეობის ჩართულობისა და ბუნებისა და ბუნებრივი ფასეულობების მიმართ მათი პასუხისმგებლობის ამაღლება

მიზანი 5: ეროვნული სატყეო სააგენტოსა და დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პროდუქტებისა და მომსახურების სხვა მომწოდებლების შესაძლებლობების გაძლიერება

მიზანი 6: ვიზიტორებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურისა შექმნა და ეფექტიანი გამოყენება და მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტებისა და მომსახურების სტანდარტების შემუშავება

მიზანი 7: ტყეებში ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება მდგრადობის პრინციპების საფუძველზე და ისეთი პრაქტიკის გამოყენებით, რომელიც გამორიცხავს უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე, ანთროპოგენურ ლანდშაფტებსა და სოციალურ ურთიერთობებზე

მიზანი 8: წვლილის შეტანა საქართველოსა და საქართველოში ტურიზმის ცნობადობის ამაღლებაში

> პოტენციურ ვიზიტორებში ბუნების ტურიზმის მოტივაციის ამაღლება

5 ტყეებში ტურიზმით დაინტერესებული მხარეები

ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და მისი რეგიონული ადმინისტრაციების ძირითადი ფუნქცია დაკავშირებულია ტყის მართვასთან (შეშა, მერქანი, ცხოველების საკვები, ეკოსისტემური სერვისები), ბუნების კონსერვაციასა და დაცვასთან. ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის ზრდა განაპირობებს ტყეებში ორგანიზებული ტურების მოწყობისა და ტურისტებისთვის სხვადასხვა სახისა და მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზების აუცილებლობას.

ტურიზმის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეს, სადაც ცენტრალურ დონეზე წარმოდგენილია ეროვნული ორგანიზაციების, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რეგიონულ დონეზე არსებობს რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაციები, ხოლო ადგილობრივ დონეზე - რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაციების ოფისები და ტურისტული საინფორმაციო ცენტრები. ცენტრალურ დონეზე ეროვნული სატყეო სააგენტო უნდა იყოს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი,

ხოლო რეგიონულ დონეზე - ეროვნული სატყეო სააგენტოს ადგილობრივი ადმინისტრაციები რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაციების ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ.

კვლევების შედეგად იდენტიფიცირებულია დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმით დაინტერესებული ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეები, რომლებიც არსებითად ემთხვევა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვაში არსებულ ტყეებში ტურიზმითა და რეკრეაციით დაინტერესებულ მხარეებს.

ნახ. 3 საქართველოს ტყეებში ტურიზმით დაინტერესებული მხარეები

ტყეებში ტურიზმით დაინტერესებული მხარეები	
ძირითადი დაინტერესებული მხარეები	• საოჯახო სასტუმროების მფლობელები/მენეჯერები • რესტორნების, კაფეების, და სხვ. მფლობელები/მენეჯერები • სხვა ტურისტული ობიექტების მფლობელები/მენეჯერები • ტუროპერატორები და ტურისტული სააგენტოები • ტურისტული, რეკრეაციული, სპორტული და სხვა სახის მომსახურების მომწოდებლები • გიდები • ტურისტული საინფორმაციო ცენტრები/ორგანიზაციები • სატრანსპორტო კომპანიები და მძღოლები • ხელნაკეთი და ტურისტული სუვენირების მწარმოებლები • ფერმერები და ფერმერთა კოოპერატივები • მაღაზიები • ადგილობრივი ბაზრები
კულტურული და სხვა სახის ორგანიზაციები	• მუზეუმები • გალერეები • სამხატვრო მაღაზიები • კულტურის სფეროსთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები
ტურისტული ორგანიზაციები და ასოციაციები	• საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაციები • საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, საქართველოს შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაცია • გიდების ასოციაციები • ეკოტურიზმის ასოციაცია • ტურიზმთან/კულტურასთან დაკავშირებული ასოციაციები

ტყეებში ტურიზმით დაინტერესებული მხარეები	
არასამთავრობო ორგანიზაციები, სააგენტოები, ცენტრები, კლუბები	• ტურიზმის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში მომუშავე ეროვნული და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები • ეროვნული და საერთაშორისო სპორტული ფედერაციები და კლუბები • კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო • ჯანმრთელობის დაცვის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრები • სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სააგენტო
საგანმანათლებლო ორგანიზაციები	• ადგილობრივი/რეგიონული უნივერსიტეტები და სკოლები, სასწავლო ცენტრები • ტურიზმთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები
ადგილობრივი თემი	• ადგილობრივი მოსახლეობა • ადგილობრივი მუნიციპალიტეტები
დონორები, კერძო ბიზნესი, საერთაშორისო ორგანიზაციები	• ტურიზმთან დაკავშირებული მსხვილი კერძო კომპანიები (მაგ., ბორჯომი, და სხვ.) • კურორტების დეველოპერები და ინვესტორები • დაცული ტერიტორიების პარტნიორები - დონორები (თიბისი ბანკი, ქართუ ბანკი, პროკრედიტ ბანკი, და სხვ.) • საერთაშორისო ორგანიზაციები (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), მსოფლიო ბანკი (WB), გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კავკასიის ბუნების ფონდი (CNF), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), და სხვ.)

წყარო: ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ TJS-ის (ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხრეთ კავკასიაში) და სხვა დოკუმენტებიდან.

დაინტერესებულ მხარეებს ტურიზმის მიმართ განსხვავებული ხედვები და მოლოდინები აქვთ. მაგალითად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და მოსახლეობა ტურიზმში ხედავენ ადგილობრივი ბიზნესის განვითარების, დასაქმების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების, უცხოური ვალუტის შოვნისა და შემოსავლის გადანაწილების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ისინი ტურიზმიდან ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის, კულტურული იდენტობის შენარჩუნების, განათლების მიღების, ჯანდაცვაზე წვდომის ხელშეწყობასა და ბუნების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბუნების დაფასებას ელიან. ასევე, ტურიზმი უზრუნველყოფს წვდომას სხვადასხვა მომსახურებაზე და ხელს უწყობს ღირებულებების, ადგილობრივი ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თვითმყოფადობის გაძლიერებას.

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია ადგილობრივ მოსახლეობას და განსაკუთრებით, ქალებს, ცალკე დაინტერესებულ მხარედ განიხილავს. კონცეფციის 8.1 პუნქტი აყალიბებს ადგილობრივი საზოგადოების, განსაკუთრებით, ქალებისა და ახალგაზრდების მოთხოვნილებების გათვალისწინებას ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში, განსახორციელებელი ქმედებები კი ითვალისწინებს შესაბამის ეროვნულ სტრატეგიებში ისეთი პროგრამების ინტეგრირებას, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლად სიღარიბის დონის შემცირებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების, ინტერესების გათვალისწინებით. იმის გათვალისწინებით, რომ მერქნული რესურსების წარმოება კაცის მიერ დომინირებულ სფეროდ რჩება, ტყის რეკრეაციული რესურსებით სარგებლობაზე ფოკუსირება და ტურიზმის განვითარება აუცილებლად გაზრდის ადგილობრივი ქალების როლს, ჩართულობას და შემოსავლის მიღების შესაძლებლობებს.

ტყეების მართვის ორგანოები ტურიზმიდან ელიან სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის წყაროს შექმნას, გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების გაჩენას, მათი საქმიანობისათვის ფინანსური რესურსის წარმოქმნას, ადგილობრივ თემებსა და მოსახლეობასთან კავშირების დამყარებას, რესურსების მართვას, ბუნების კონსერვაციის ხელშეწყობას, სამეცნიერო კვლევების გაძლიერებას, ტურისტებისთვის დადებითი გამოცდილების შექმნას და კმაყოფილი ტურისტების რაოდენობის ზრდას.

მეორე მხრივ, ტუროპერატორებს და ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების მომწოდებლებს აქვთ მომგებიანი ბიზნესის წარმოების, ბაზრის პოტენციალის ათვისების, საბაზრო პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის, ერთგული ტურისტების ნაკადების და მათთვის ბუნების, ბუნებრივი ღირებულებებისა და მემკვიდრეობის უკეთ შეცნობაში დახმარების გაწევის მოლოდინი.

ტურისტების მოლოდინი შემდეგში მდგომარეობს: სრულფასოვანი და კომფორტული დასვენება, საკუთარი გამოცდილების გაუმჯობესება, საკუთარი მიზნების რეალიზაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა, კომუნიკაციის გაუმჯობესება, ოჯახის ისტორიის, ტრადიციების გაცნობა, ახალი კონტაქტების დამყარება, კულტურული ღირებულებების გაცნობა, ბუნების კონსერვაციისა და დაცვის ხელშწყობა.

6 ტყეების ტურისტული პროდუქტები და პოტენციალი, როგორც დაცული ტერიტორიების დამატებითი შემოთავაზება

დაცულმა ტერიტორიების ადმინისტრაციებმა და დაცული ტერიტორიების სააგენტომ შექმნეს რამდენიმე ტურისტული პროდუქტი და მომსახურება, რომელთაგან ზოგიერთი -

საერთაშორისო პროექტებისა და ორგანიზაციების დახმარებით. სასურველია მაქსიმალურად გამოვიყენოთ დაცული ტერიტორიებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაოების შედეგები და კონცენტრირება მოვახდინოთ ადგილობრივი დონის დამატებით ღონისძიებებზე ან ისეთი სახის მომსახურებაზე, რომელთა უზრუნველყოფაც დაცულ ტერიტორიებს არ შეუძლიათ.

6.1 დაცული ტერიტორიების პრაქტიკის გავრცელების შესაძლებლობები სატყეო ფონდის ტერიტორიებზე

ეროვნულ სატყეო სააგენტოს შესაძლებლობა აქვს სრულიად გაიზიაროს მომსახურების ის ფორმები, რასაც დაცული ტერიტორიები ვიზიტორებს სთავაზობენ: ინფორმაციას ვიზიტორთა ცენტრებში, რუკებსა და საინფორმაციო მასალებს, რეინჯერებსა და გიდებს. ვიზიტორთა ცენტრებში ასევე წარმოდგენილია ექსპოზიციები, განმარტებითი მასალები, ცალკეულ შემთხვევებში ვიზიტორთა ცენტრებში არის ვიზიტორთა საცხოვრებელი ოთახები, საკვები და სასმელი, მაღაზიები და კეთილმოწყობილი საკონფერენციო დარბაზები. ზოგიერთ ტერიტორიას აქვს საკუთარი მცირე სასტუმრო და რესტორანი.

ვიზიტორებისთვის მოწყობილია სასეირნო, საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტები. ადმინისტრაცია სტუმრებს სთავაზობს სათავგადასავლო ტურიზმის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ველოტურები, კანიონინგი, „ზიპლაინი“. მარშრუტები მონიშნულია, ზოგიერთ მათგანზე განთავსებულია საინფორმაციო და განმარტებითი დაფები, ტარდება ორგანიზებული ტურები გიდების თანხლებით, ვიზიტორებს ასევე სთავაზობენ კარვებს, ტენტებსა და საძილე ტომრებს.

ვიზიტორების რაოდენობისა და მოთხოვნის ზრდა პროდუქტებისა და მომსახურების გაზრდილ საჭიროებას განაპირობებს, ვიზიტორთა მომსახურების განვითარება უნდა ხდებოდეს რამდენიმე ისეთი პრინციპის შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ, პირველ რიგში, ბუნებრივ პირობებს, ვიზიტორთა მოსალოდნელ გამოცდილებას, ვიზიტორების მოტივაციას, ქცევას და საბაზრო მოთხოვნის ინტენსივობას.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუნებაში ეკოტურის დროს ეკოტურისტის მოტივაციიდან გამომდინარე მის მიერ შესრულებული მოქმედებები:

ნახ. 2: ეკოტურისტის მოქმედება ეკოტურის დროს

- ფეხით სიარული
- დაკვირვება ბუნებაზე
- ორგანიზებული საფეხმავლო ტური
- ისტორიული ადგილები/მუზეუმები
- ფრინველებზე დაკვირვება
- ბუნების ფოტოგადაღება
- ცურვა
- ადგილობრივ ადამიანებთან შეხვედრა
- ადგილობრივი კულტურული ტურები
- სამეცნიერო კვლევა

- ველოტურები
- მაღალი გამავლობის მანქანის ტურები
- კანიონინგი
- ჯომარდობა
- კაიაკინგი
- თევზაობა
- ვაჭრობა (შოპინგი)
- პლაჟზე გარუჯვა
- ცხენოსნობა
- თემატური ტურები
- ნადირობა

ეკოტურისტები, ძირითადად, ყურადღებას აქცევენ უსაფრთხოებას (კრიმინალი, ჰიგიენა), ადგილობრივი მოსახლეობის მეგობრულ დამოკიდებულებას, ავთენტურ კულტურასა და ცხოვრების წესს, საკვების ხარისხს, საცხოვრებლის ფასსა და ხარისხს. მათთვის ნაკლებად

მნიშვნელოვანია ტურისტული პაკეტების, ცნობილი ღირსშესანიშნაობების არსებობა და ინფრასტრუქტურის ხარისხი (გზები, სამედიცინო დაწესებულებები, და სხვა).

ზოგადად, ტურისტული პროდუქტები და მომსახურება ბაზარზე კარგად იყიდება, თუმცა მათი ხარისხი ვერ აკმაყოფილებს ვიზიტორების ყველა საჭიროებას და მოლოდინს აღნიშნული პროდუქტების მიწოდება შესაძლებელია კონცესიის ან მართვის სხვა ფორმებით. ხშირად, საფეხმავლო ბილიკებს და სხვა ინფრასტრუქტურას საკუთარი ბიზნესისთვის, ფინანსური კომპენსაციის გადახდის გარეშე, იყენებენ კერძო კომპანიები და სხვა ორგანიზაციები.

6.2 სატყეო ტურიზმის სპეციფიკა

დაცული ტერიტორიების გამოცდილების საფუძველზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაძლებლობები ადგილობრივ კონტექსტში უნდა გამოიკვეთოს. გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე მიმზიდველი ტერიტორიები დაცული ტერიტორიების ფარგლებშია, ტყეების ტურიზმის შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონულ ღირსშესანიშნაობებსა და ისეთ ტურისტულ აქტივობებზე, რომლებიც თავიანთი ხასიათით დაცული ტერიტორიების მიზნებს არ შეესაბამება. ასეთებია: სამკურნალო და სპა ტურიზმი, კავშირი სამთო და ზღვის სანაპირო კურორტებთან, სპორტის ისეთი სახეობები, რომლებისთვისაც საჭიროა ინფრასტრუქტურა (ნადირობა, კვადროციკლების და მოტოციკლების ტურები, ელექტროველოსიპედების ტურები, სათხილამურო სპორტი, პარაპლანერიზმი), და სხვა.
ცხადია, რომ ყველა ეს აქტივობა უნდა შემოწმდეს შესაძლო უარყოფით გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. აგრეთვე, ყველა ადმინისტრაციულ დონეზე განხილულ უნდა იქნეს მათი გრძელვადიანი ზემოქმედებები. უნდა მოიძებნოს შეხების წერტილები და ურთიერთქმედების შესაძლებლობები ამჟამად არსებულ რეგიონულ ტურისტულ აქტივობებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპონტანური განვითარება ბევრად მეტ რისკს შეიცავს, ვიდრე სტრატეგიულად მართული განვითარება, რომელშიც ეროვნულმა სატყეო სააგენტომ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს. კერძოდ, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა გამოავლინოს ის ტერიტორიები, რომლებსაც აქვთ უკეთესი პოტენციალი ტყეებში ტიპიური და არატიპიური ტურისტული აქტივობების განხორციელებისათვის.

ნადირობა და თევზჭერა ხელისუფლებისთვის შემოსავლის საიმედო წყაროს წარმოადგენს, თუმცა აუცილებელია შესწავლილ იქნეს, არსებობს თუ არა რესურსების მართვის ტრადიციული კულტურისა და თანამედროვე მაღალი კლასის ტურიზმის შერწყმის პოტენციალი.

7 ტურიზმის სტრატეგიის განხორციელების მოდელი

ტყეებში ტურიზმის სტრატეგიის განსახორციელებლად გასათვალისწინებელია ის პროექტები და საინვესტიციო ინიციატივები, რომლებიც აუმჯობესებენ ტურისტულ ობიექტებს, პროდუქტებსა და მომსახურებას:

ძირითადი ინფრასტრუქტურა

- მისასვლელი გზების შეფასება, დარუკება და გაუმჯობესება; ავტოსადგომების მოწყობა
- მთავარ გზებზე ტურისტულს ადგილების შესაბამისი ნიშნების დადგმა

ტურისტული მომსახურებისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა

- ვერანდების ცენტრების და ადმინისტრაციული სეზონების მოწყობა ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის მიზნების უკეთ მისაღწევად (მაღაზიები, კაფეები, სეიფები, უკაბელი ინტერნეტის კუთხეები, მობილური აპლიკაციებისა და გზამკვლევების გაქირავება, და სხვ.)
- საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და სხვა ორგანიზაციებთან (კურორტები, მუზეუმები, და სხვ.) ერთობლივი საინფორმაციო სამსახურების ჩამოყალიბება
- სატრანსპორტო საშუალებები: ავტომანქანები, მაღალი გამავლობის მანქანები, და სხვ.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ტყეებსა და კონკრეტულ ობიექტებზე წვდომის უზრუნველყოფა
- საქართველოში მარშრუტების მონიშვნის ერთიანი სისტემის შექმნა
- მარშრუტების მონიშვნა ცალკეულ ტერიტორიებზე
- ახსნა-განმარტებითი დაფები
- მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფი რეინჯერების ვიზუალური იდენტიფიკაცია
- წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო საშუალებები
- ნარჩენების შეგროვებისა და მართვის ობიექტები და მომსახურება
- უსაფრთხოების საშუალებები და სამსახურები

ტურიზმი - ტურისტების საცხოვრებელი და კვების ინფრასტრუქტურა

- ეროვნული სატყეო სააგენტოს ან სატყეო სამსახურების საკუთრებაში არსებული ვიზიტორების საცხოვრებელი ობიექტების სტანდარტიზაცია
- საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები
- ქოხები, თავშესაფრები
- დასასვენებელი ადგილები

ტურისტული პროდუქტები და მომსახურება

- რეკრეაციულ ტყეებთან დაკავშირებული ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების სტანდარტები (ეროვნული)
- მარშრუტების კეთილმოწყობა და მოვლა
- ტურისტული მარშრუტებისა და პროდუქტების გაფართოება ვიზიტორების დიდი რაოდენობით გამორჩეულ ტერიტორიებზე
- მარშრუტები, პლატფორმები და კოშკები – ბუნებაზე დურბინდებით დასაკვირვებლად
- პლატფორმები/კოშკები ფოტოების გადასაღებად
- სპორტული და სათავგადასავლო პროდუქტები: კანიონინგი, ჯომარდობა, დაკიდული ხიდები მოკლე თემატური მარშრუტები
- ოჯახებზე ორიენტირებული მომსახურება
- დასასვენებელი და სპა კურორტების განვითარება
- სპორტული მოედნები (სათხილამურო, სნოუბორდის, სპორტის აქტიური სახეობების)
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი და შესაბამისად ადაპტირებული პროდუქტები და მომსახურება

7.1 ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

7.1.1 ტყის მართვის ორგანიზება და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა

საქართველოს აქვს ბუნების კონსერვაციის, დაცვისა და მართვის ცენტრალიზებული სისტემა. ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო შეიქმნა როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. მათ უპირველესი მოვალეობა საქართველოს სატყეო ფონდსა და ყველა კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი მემკვიდრეობის მართვაა. დაცული ტერიტორიების სააგენტომ დააგროვა ტურიზმის განვითარების გარკვეული გამოცდილება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურიზმის სხვადასხვა ასპექტების განვითარებისათვის.

ეროვნული სატყეო სააგენტოს არსებული სტრუქტურა არ ითვალისწინებს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. არც რეგიონულ სატყეო ადმინისტრაციებს გააჩნიათ ამ ახალი ამოცანის შესრულების შესაძლებლობები. სატყეო სამსახურებში ტურისტების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობის სპეციალისტების მწვავე დეფიციტია. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ბუნების დაცვას, ასევე ხელს უწყობენ საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარებას. ეს შესაძლებლობა ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა გამოიყენოს. ტურიზმის განვითარებას პროფესიონალი კადრები და ტურიზმის დარგის ნაკლებად ცენტრალიზებული სისტემა სჭირდება. ცენტრალურ დონეზე უნდა ხდებოდეს განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება, პოპულარიზაცია, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მოდელისა და საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები, მაგრამ ტყეებში პრაქტიკული ტურისტული საქმიანობა მოქნილობის გარკვეულ დონეს საჭიროებს. ტურისტული საქმიანობის დანერგვა ეტაპობრივად უნდა მოხდეს - უნდა დაიწყოს ისეთ ადგილებში, რომლებიც უფრო მოთხოვნადია და სადაც ტურიზმი უფრო მეტად განვითარებულია.

ტურიზმის განვითარების უზრუნველსაყოფად ეროვნულმა **სატყეო სააგენტომ უნდა შექმნას ტურიზმის ჯგუფი,** რომელშიც შევლენ შემდეგი კვალიფიკაციის მქონე პირები:

- ტურიზმის - რეკრეაციის ჯგუფის მენეჯერი
- ტურისტული პროდუქტის, მომსახურებისა და ხარისხის სტანდარტების სპეციალისტი
- ტურიზმის მარკეტინგის სპეციალისტი
- ელექტრონული მედია მარკეტინგის სპეციალისტი
- ტურისტული ინფორმაციის სპეციალისტი

დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის ეფექტიანი მართვისთვის საჭიროა ეროვნული **სატყეო სააგენტოდან ტყეების ადმინისტრაციებზე პასუხისმგებლობების ეტაპობრივი გადანაწილება.** აღნიშნული პროცესი შეიძლება დაიწყოს ისეთი პროექტებით და ადგილებიდან, სადაც უკვე დაგეგმილია გარკვეულ ღონისძიებები და საიდანაც ეროვნული სატყეო სააგენტო ტურიზმის თვალსაზრისით მნიშვნელოვან შედეგებს ელოდება. კონკრეტული პროექტის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ფასების განსაზღვრა კონკრეტული ტყის, პროექტისა და ბაზრის/მოთხოვნის მდგომარეობიდან გამომდინარე
- სეზონური თანამშრომლების დაქირავება პიკური დატვირთვების დროს, ჩვეულებრივ შაბათ-კვირას ან დღესასწაულებზე
- ტურისტების ჯგუფებთან ხელშეკრულებაზე და მის პირობებზე მოლაპარაკება

- ტურისტული ობიექტების სეზონურ მართვაზე მოლაპარაკება და ხელშეკრულებების გაფორმება იმ შემთხვევაში, თუ კონცესიები არ არის წარმატებული
- ტურისტული მომსახურების კერძო მომწოდებლების ჩართვა ყველაზე ხელსაყრელი პირობებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ შეუძლია ვიზიტორებისათვის იმავე ადგილზე იგივე სახის მომსახურების გაწევა უეცარი შეფერხების, აღჭურვილობის დაზიანების ან მსგავსი მიზეზის გამო
- თანამშრომლობა და ერთობლივი სარეკლამო და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება ადგილობრივ თემებთან
- გარკვეული ბიუჯეტი მედიის, ტუროპერატორების/ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლების ვიზიტებისა და სარეკლამო საჩუქრების ხარჯების დასაფარად
- გარკვეული ბიუჯეტი ზიანის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად, დაზიანებული აღჭურვილობის ან ვიზიტორებთან დაკავშირებული სხვა ინვენტარის შესაკეთებლად.

ტურიზმი რთული ეკონომიკური და სოციალური საქმიანობაა. ის მოითხოვს **მრავალი დაინტერესებული მხარის თანამშრომლობას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე** ისეთი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, რომლებიც დააკმაყოფილებენ ვიზიტორების საჭიროებებს, მოთხოვნებსა და მოლოდინებს და მისცემენ მათ იმაზე მეტს, რასაც ელიან. თუ ტურისტი კმაყოფილია საკუთარი მოგზაურობით, ის ამ ადგილის ელჩი და პოპულარიზატორი ხდება.

ეროვნულ დონეზე ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა ითანამშრომლოს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და მოახდინოს მასთან საკუთარი ტურისტული საქმიანობის კოორდინაცია.

ტყეებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიამ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიაში, რადგან ბუნება საქართველოს ტურისტული იმიჯის და ტურისტული შეთავაზების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სეგმენტია. რეკლამა და მარკეტინგი კოორდინირებული უნდა იყოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტთან. რეკლამისთვის ეროვნულ სატყეო სააგენტოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის არხები, ხოლო საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შეუძლია მხარი დაუჭიროს ეროვნული სატყეო სააგენტოს გარკვეულ მიზნობრივ სარეკლამო კამპანიებს. სამივე ორგანიზაციამ ერთად უნდა იმუშაოს ქვეყანაში ტურიზმის, ბუნებისა და სტუმართმოყვარეობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთანაც. ბუნება და კულტურა ტურისტების მნიშვნელოვანი სეგმენტის მოზიდვის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნულმა სააგენტოებმა და გარკვეულმა დაინტერესებულმა მხარეებმა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით უნდა შექმნან ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის ეროვნული საბჭო.

რეგიონულ დონეზე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ უნდა ჩამოაყალიბოს რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაციები, სადაც მეტყევეები დაინტერესებულ მხარეთა მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ.

ადგილობრივ დონეზე ცალკეულ მუნიციპალიტეტებს აქვთ ტურიზმის განყოფილებები ან სამსახურები. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია ტურიზმის ხელშეწყობის მუნიციპალური ცენტრები ან მუნიციპალიტეტის კურორტებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრები. ასეთი ცენტრების შექმნა ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე ტურიზმის მნიშვნელობას, სადაც ტყეები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ

შესაძლებლობად მოიაზრება. ადგილობრივ დონეზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შექმნილი აქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, რომლებსაც საკუთარ მომსახურებაში შეუძლიათ ტყეებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ჩართვა.





7.1.2 საშემოსავლო პოლიტიკა და კონცესიები

ტყე საჭიროებს სახსრებს და დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმისათვის, რომ განხორციელდეს ბუნებრივ კონსერვაციასთან, დაცვასა და მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები, თუმცა ასეთი დაფინანსება არც ერთ ქვეყანაში საკმარისი არ არის. ამიტომ, სახელმწიფო სატყეო სააგენტოებმა უნდა გამონახონ დამატებითი ფინანსური რესურსები კომერციული, ძირითადად, ტურისტული საქმიანობიდან. აღნიშნული საქმიანობა სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ტყეებისთვის საჭირო დაფინანსებაში.

ტყეების ბიუჯეტების შემოსავლის წყაროები განსხვავებულია - ეს არის სახელმწიფო, კერძო და კომერციული წყაროები (ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN) 2002, გვ. 121). პოტენციურ წყაროებს მიეკუთვნება:

> სახელმწიფო დაფინანსება (სავალდებულო ან ნებაყოფლობითი)
> შესვლის გადასახადი
> რეკრეაციული მომსახურება - მომხმარებლის გადასახადი, სპეციალური ღონისძიებები და სპეციალური მომსახურება
> კონცესიები და იჯარა
> ტურისტების განთავსება
> აღჭურვილობის გაქირავება
> საკვების გაყიდვა (რესტორნები და მაღაზიები)
> ნივთების გაყიდვა (აღჭურვილობა, ტანსაცმელი, სუვენირები
> შემოწირულობა, საერთაშორისო ფინანსური და ტექნიკური დახმარება
> ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზირება
> საიმიჯო უფლების გაყიდვა ან გაქირავება
> პარკირება
> ერთობლივი მარკეტინგი
> სახელმწიფო ინვესტიციები
> კერძო სექტორის ინიციატივები
> სპონსორები
> შემოწირულობა
> მოხალისეობა (რომელიც ხარჯებს ამცირებს, მაგრამ შემოსავალს არ ქმნის)

საქართველოში ტყეებთან დაკავშირებული ბიუჯეტი სახელმწიფო დაფინანსებითა და ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა შემოსავლებით ივსება. შემოსავლის წყაროს, სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, ძირითადად მომსახურების გადასახადები წარმოადგენს.

მომსახურების გადასახადი და სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს შემდეგი მიმართულებებით:

- > რეკრეაციული პროდუქტებისა და მომსახურების გადასახადი
- > კონკრეტული ინფრასტრუქტურის - გზის, ხიდის, ავტოსადგომის, გადასახედი მოედანი, დურბინდები. და სხვ. გამოყენების გადასახადი
- > საკემპინგო და საპიკნიკე ადგილებისა და ინფრასტრუქტურის, თავშესაფრების, ინტერნეტის, უკაბელო ინტერნეტის გამოყენების საფასური
- > კონცესიის გადასახადი - კონცესიონერების მიერ მიღებული შემოსავლის ნაწილი
- > რუკების, ბროშურების, სხვადასხვა პროდუქტების, სუვენირების, და სხვ. გაყიდვა
- > საკვების გაყიდვა რესტორნებსა და მაღაზიებში
- > თავშესაფრების, ქოხების, საცხოვრებელი ოთახების გამოყენება
- > შეხვედრების, სამოტივაციო ტურების, კონფერენციებისა და გამოფენების აღჭურვილობის ქირის გადასახადი
- > საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებისა და ტექნიკის ქირის გადასახადი
- > ტყეებში ბიზნესის საწარმოებლად კერძო ოპერატორებისთვის გაცემული ლიცენზიები და ნებართვები
- > ავტომანქანებზე დაწესებული გადასახადი
- > მომსახურების კერძო მომწოდებლების ტურიზმის გადასახადი
- > გარემოსდაცვითი გადასახადი, როგორც სპეციალური დანიშნულების გადასახადი
- > საწევრო ბარათები
- > ეროვნული სატყეო სააგენტოს აღჭურვილობის ქირის გადასახადი
- > ვიზიტორების შემოწირულობები, კერძოდ ვიზიტორთა ცენტრებში ჩატარებული ღონისძიებებისათვის
- > ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი (ნადირობა, თევზაობა)

კონცესიის პოლიტიკა და პრაქტიკა დამოკიდებულია სახელმწიფო და კერძო სექტორის როლზე ტყეების რეკრეაციულ მართვაში. სახელმწიფო სექტორის როლი ტურიზმში კერძო სექტორის როლისგან განსხვავებულია. ცენტრალურ ან ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრაცია პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს შემდეგზე:

- > გარემოს დაცვა
- > ინფრასტრუქტურის მოწყობა და ტექნიკური მომსახურება (გზები, ელექტროენერგია, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, სანიტარია)
- > მარშრუტების, საკემპინგო ადგილები, თავშესაფრები, გადასახედი მოედნები, და სხვ.
- > უსაფრთხოება
- > ზემოქმედებების მონიტორინგი და ხარისხის შეფასება
- > წვდომისა და ტურისტული ნაკადების მართვა
- > ინფორმაცია (ვიზიტორთა ცენტრები, ახსნა-განმარტებითი მასალა)
- > კონფლიქტების მოგვარება
- > მონაცემთა ბაზების შექმნა

კერძო სექტორის როლი შემდგომში მდგომარეობს: ტურისტების საცხოვრებელი საშუალებებითა და საკვებით, გადაადგილების საშუალებებით, ინფორმაციით, მედიით (წიგნები, ვიდეოები, და სხვ.), გიდებით უზრუნველყოფა, ტერიტორიის პოპულარიზაცია და რეკლამირება, პროდუქტებისა (აღჭურვილობა, ტანსაცმელი, სუვენირები) და პირადი მომსახურების შეთავაზება. კერძო სექტორი ტურისტებს სთავაზობს იმ პროდუქტებსა და მომსახურებას, რომელიც მათ ტყეებში მოგზაურობის დროს სჭირდებათ და უზრუნველყოფენ მათ კომფორტს დაცულ ტერიტორიებზე ამ მათ მახლობლად ყოფნის დროს.

რეკრეაციულ ტყეებში ტურიზმს სჭირდება ბევრი სხვადასხვა სახის პროდუქტი და მომსახურება, რასაც ტურისტებისთვის სახელმწიფო და/ან კერძო ორგანიზაციები ან პირები

უზრუნველყოფენ. როგორ წესი, ყველა ამ პროდუქტს და მომსახურებას მხოლოდ ერთი სექტორი არ უზრუნველყოფს. აქ წარმოდგენილია ურთიერთობების მთელი ნაკრები - სახელმწიფო საკუთრება და სახელმწიფო და კერძო მართვა და კერძო საკუთრება და კერძო მართვა.

ეროვნულ სატყეო სააგენტოს შეუძლია კონცესიით გასცეს:

- საცხოვრებელი სივრცე
- რესტორნები, მაღაზიები
- გიდების მომსახურების, საფეხმავლო და საცხენოსნო ლაშქრობების და სანადირო ტურების მოწყობის უფლება
- სპორტული პროგრამები და აღჭურვილობა
- ავტოსადგომები

ამა თუ იმ ობიექტის ან უფლების კონცესიით გაცემის დროს, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა შეაფასოს კონცესიონიერის შესაძლებლობები და შეადაროს კონცესიონერის მიერ მიღებული შემოსავლები საკუთარი ძალებით მართვის შემთხვევაში მიღებულ შემოსავლებს. ასევე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების კონცესიით შესაძლო დაინტერესებისა და მათი შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

კონცესიის გამოყენებამდე აუცილებელია **კონცესიის 5 პრინციპის** გათვალისწინება:

- უნდა შეფასდეს კონცესიონერის ფინანსური შესაძლებლობები, გამოცდილება ტურიზმის სფეროში, განათლების დორე და ენების ცოდნა
- ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სამართლებრივი პასუხისმგებლობა გადასახადის არგადახდაზე, ობიექტის საკუთრების საკითხი, გარემოსათვის მიყენებული ზიანი, ჯარიმები და კონტრაქტის დარღვევის პირობები
- ფინანსური პასუხისმგებლობა ფინანსური გარანტიის მექანიზმით, კონცესიით, რომელიც ითვალისწინებს სარგებლობის გადასახადის გადახდას და ობიექტის ტექნიკურ მომსახურებას/რემონტს
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, რომელიც მოითხოვს ინფრასტრუქტურის მოწყობას, მონიტორინგის გეგმის მომზადებას და შესრულებას, რესურსების ეკონომიურად გამოყენებას, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას, ნარჩენების მართვას და რისკების ანალიზს
- სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას ადგილობრივი თემებისა და მოსახლეობის მიმართ: ადგილობრივი თემებისა და მოსახლეობის შესაძლებლობების გაზრდა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, სარგებლის განაწილება და ადგილობრივი ბიზნესების ჩართვა

კონცესიის გადასახადი შიძლება რამდენიმე სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე განისაზღვროს. ყველაზე მისაღები იქნება ფიქსირებული წლიური გადასახადის დაწესება, რომელსაც დაემატება ყოველთვიურად მიღებული შემოსავლის გარკვეული პროცენტი ან თითოეულ ვიზიტორზე დადგენილი გარკვეული ფიქსირებული თანხა. ასევე კარგი იქნება კონცესიონერის წახალისება, რომ მან იმუშაოს წელიწადის ისეთ დროს, როდესაც ტურისტების რაოდენობა და შესაბამისად, შემოსავალიც მცირეა. გადასახადი დროთა განმავლობაში შეიძლება გაიზარდოს. კონცესიის ხელშეკრულებები 5-7 წლით უნდა დაიდოს (დიდი ობიექტების კონცესიით გაცემის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება 10-15 წლამდე გაიზარდოს). ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა და ასევე მუხლი წესების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტასთან დაკავშირებით.

კონცესიის პოლიტიკის განსაზღვრა, ხელშეკრულებების დადება და მონიტორინგი ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა უზრუნველყოს. პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს. კონცესიის პირობების შესრულების მონიტორინგი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ერთ კონკრეტულ ადგილზე რამდენიმე კონცესიონერია. მონიტორინგმა უნდა აღკვეთოს წესების შესაძლო დარღვევის შემთხვევები, კონცესიონერებს შორის შესაძლო კონფლიქტები და განსაკუთრებით უკმაყოფილება ტურისტებს შორის.

7.1.3 უსაფრთხოება

ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და ტყეების ადმინისტრაციებმა უნდა იზრუნონ ტყეში მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოებაზე. ეს არის ქვეყნისა და მისი ტურიზმის რეპუტაციის საკითხი და ბუნების ტურისტების რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი. უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნულ სატყეო სააგენტოს დამოუკიდებლად არ შეუძლია, ამისათვის მან უნდა ითანამშრომლოს სხვა ისეთ ორგანოებთან, როგორიცაა პოლიცია, სამედიცინო ცენტრები, სახანძრო სამსახურები და საზოგადოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სხვა უწყებები.

ტყეებში ტურიზმს რამდენიმე რისკ ფაქტორი ახლავს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ვიზიტორებს და უბედური შემთხვევების მიზეზიც გახდნენ. მარშრუტზე გადაადგილების დროს ადამიანებმა შეიძლება მსუბუქი დაზიანებები მიიღონ, შეწუხდნენ მწერებისაგან, გარეულ ცხოველებთან შეხვედრამ შეიძლება ისინი, სულ მცირე, შეაშინოს, იგივე შეიძლება მოხდეს ცუდი ამინდის შემთხვევაშიც. ვიზიტორებს შეიძლება გზა აებნეთ, მოიწამლონ მცენარეებით, და სხვ. სპორტული და სათავგადასავლო აქტივობების შემთხვევაში იზრდება სხეულის დაზიანების ალბათობა.
აქედან გამომდინარე, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და ტყეების ადმინისტრაციებმა უნდა:

- შექმნან სისტემა, რომელიც ასეთი შემთხვევების დროს უზრუნველყოფს ადმინისტრაციის მაქსიმალურად სწრაფად ინფორმირებას სასიგნალო კოშკების და/ან მობილური გადამცემების საშუალებით, რომლის ქირაობა შესაძლებელი იქნება ვიზიტორთა ცენტრებში, ასევე გამოდგება მობილური ტელეფონების დამტენებიც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროს შესაძლებელი იყოს დაზარალებული ვიზიტორის ადგილმდებარეობის დადგენაც.
- შექმნან მაშველთა ჯგუფი და გადაუდებელი დახმარების სამსახური (სამედიცინო ცენტრების სამედიცინო და სხვა პერსონალის მონაწილეობით)
- მიაწოდონ ინფორმაცია ვიზიტორებს შესაძლო საფრთხეების შესახებ და ურჩიონ, თუ როგორ უნდა ჩაიცვან და აღიჭურვონ, როგორც მოიქცნენ საფრთხის შემთხვევაში და როგორ ითხოვონ დახმარება. აღნიშნულ რჩენებში ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის ჩვენების, ტრადიციებისა და წესების შესახებ, რაც ვიზიტორმა უნდა გაითვალისწინოს მათთან შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

სწორედ ამ სიტუაციების გამო, რომელშიც შეიძლება ჩავარდეს ბუნებაში მყოფი ტურისტი, ვიზიტორები მომსახურების სერტიფიცირებულ მომწოდებლებს ირჩევენ. კერძოდ, ისინი ირჩევენ პროფესიონალ გიდებს, ჯგუფურ გადაადგილებას, მონიშნულ მარშრუტებს და ემორჩილებიან ტყეების ადმინისტრაციების წესებს. ვიზიტორების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების სისტემით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სიგნალის მიღება ტყეებში ნებისმიერი მიზეზით შექმნილი საფრთხის შესახებ.

8 დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არსებულ ტყეებში რეკრეაციული და ტურისტული მომსახურების განვითარების სამოქმედო გეგმა

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა მიიღოს რამდენიმე კონკრეტული ზომა იმისათვის, რომ გახდეს ტურიზმის სფეროს სრულფასოვანი დაინტერესებულ მხარე. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სამინისტროების, ხელისუფლების ორგანოებისა და სხვა უწყებების პოლიტიკასა და სტრატეგიაში გათვალისწინებული იქნება გარკვეული ღონისძიებები, ეროვნულ სატყეო სააგენტოს დასჭირდება კონკრეტული ინიციატივის საკუთარ თავზე აღება რეკრეაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების პროცესში ტყეებისა და ტყეების სხვა მომხმარებლების ინტერესების განსაზღვრისა და ამ ინტერესების დაცვის მიზნით. გარდა ამისა, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა მოითხოვოს და მიიღოს სათანადო კომპენსაცია ეროვნული ტყის ფონდის გამოყენებისათვის. საკომპენსაციო და სხვა სახელშეკრულებო დეტალების დასადგენად საჭირო იქნება არსებული ეროვნული მექანიზმების გამოყენება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობისა და ერთობლივი ღონისძიებების შემთხვევაში. ქვემოთ თანმიმდევრობით წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის კონკრეტული ღონისძიებები, თუმცა ზოგიერთი მათგანი პარალელურ რეჟიმში უნდა განხორციელდეს, რაც მოთხოვს დამატებით ყურადღებას, განსაკუთრებით მათი დაწყების ეტაპებზე.

8.1 ტურისტული ინფრასტრუქტურის მართვისა და მომსახურების სისტემების მოდელების შემუშავება და შესაძლებლობების გაძლიერება

ამჟამად, ეროვნულ სატყეო სააგენტოში და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ არის ტურიზმის დეპარტამენტი ან სამსახური. ტურიზმის სპეციალისტები მუშაობენ მხოლოდ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სათაო ოფისში, რომლებიც დაცული ტერიტორიების მენეჯერებს ეხმარებიან ტურისტული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

სასურველია, რომ ეროვნულ სატყეო სააგენტოში შეიქმნას გამოცდილი სპეციალისტების მცირე ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ტყეებში ტურიზმის განვითრების საკითხებზე, როგორც ეს 5.1.1-შია აღწერილი. ამ გუნდთან ერთად შემუშავდება დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის პრინციპები, რომლებიც იქნება საკმარისად მოქნილი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტულ ადგილებსა და გარემოებებში ამა თუ იმ პარტნიორის ძლიერი მხარეებისა და გამოცდილების გათვალისწინება.

ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა შექმნას ვიზიტორთა მართვის, დაცვისა და მომსახურებისათვის საჭირო საშუალებები, აგრეთვე უზრუნველყოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოების ცოდნა ტყეებში მდგრადი და მომგებიანი ტურისტული საქმიანობის საწარმოებლად. შესაძლებლობების გაძლიერების გეგმები უნდა შემუშავდეს საჭიროებების შეფასების შედეგების საფუძველზე. აღნიშნული გეგმები მუდმივად უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც კადრების ზრდისა და განვითარების საშუალება.

8.2 ტყეების სტრატეგიული ზონირება და რეკრეაციული ტყეების გამოყოფა

სავარაუდოდ, ტყის ახალი კოდექსი მომავალ საპარლამენტო სესიაზე დამტკიცდება, შესაბამისად, რეკრეაციული და მომსახურების ფუნქციების მქონე ტყეების

იდენტიფიცირებისათვის შესაძლებელი გახდება სტრატეგიული ზონირების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენება. სასურველია, რომ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომპეტენტური სპეციალისტებისაგან შემდგარ გუნდს დაავალონ ინფორმაციის შეგროვება ტყეების არსებულ და სასურველ ფუნქციებთან დაკავშირებით და ტყეების განვითარების ეროვნული გეგმის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება კონკრეტული ტყეების შესაბამისი ფუნქციები მართვის სათანადო მოდელის უზრუნველსაყოფად. მუშაობა უნდა დაიწყოს იმ მომავალი და დაგეგმილი საკურორტო ტერიტორიებიდან, სადაც გათვალისწინებულია ტყეების ჩართვა შესაბამის საკურორტო კონცეფციებში. სავალდებულო უნდა იყოს ეროვნული სატყეო სააგენტოს მოსაზრებების გათვალისწინება განვითარების კონკრეტული გეგმების შემუშავების პროცესში და მასთან ყოველ კონკრეტულ ტერიტორიაზე რესურსების ხანგრძლივვადიანი გამოყენების კონცეფციების შეთანხმება, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება როგორც ტერიტორიების რეკრეაციული და გარემოსდაცვითი პოტენციალი, ასევე მიმდებარე მოსახლეობისა და უფრო ფართო საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნები.

8.3 კონკრეტული ტყეების განვითარების გეგმების მომზადება მთის კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში

როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგიულ ზონირებაში უნდა ჩაერთოს საკურორტო ტერიტორიებიც. რესურსების ინვენტარიზაცია და ტყეების განვითარების გეგმების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება კურორტების კონკრეტულ მოთხოვნებს, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს მთის კურორტების განვითარების პროგრამების ტერიტორიებისთვის. მართვის საპილოტე გეგმების მომზადების დროს შეიძლება საჭირო გახდეს დახმარება შესაბამისი წესებისა და რეგულაციების შესამუშავებლად. მართვის გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს კურორტებზე, განსაკუთრებით რეკრეაციულ ტყეებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურისა და საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შედეგები.

ეროვნული სატყეო სააგენტო აპირებს საკუთარი მართვის დაგეგმვისა და განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების განახლებას. ეს იქნება კარგი შესაძლებლობა ტყის ახალი კოდექსისა და სატყეო პოლიტიკის შესაბამისად ტყეების მრავალფუნქციურობის ხაზგასასმელად.

არსებობს მაღალი პოტენციალის მქონე ტერიტორიები, რომლებიც უკვე წარმოადგენენ ინტერესის საგანს, როგორიცაა, მაგალითად ბაკურიანის ცენტრალური პარკი ან ქალაქის გარეუბნებში არსებული ტყეები, სადაც შესაძლებელია საპილოტე გამოცდილების მიღება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების, დაფინანსების მოდელებისა და ბიზნეს გეგმების მომზადებასა და ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის დამყარებაში.

8.4 არსებულ ტურისტულ მარშრუტებსა და შეთავაზებებში ტყეებისა და ტყეების ღირსშესანიშნაობების ჩართვა

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის თანამშრომლობისთ შესაძლებელია იგივე ან მსგავსი ტიპის კლიენტებისთვის ტყესთან დაკავშირებული დამატებითი ან ალტერნატიული შთავაზებების გაკეთება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ უკვე იდენტიფიცირებულ მარშრუტებზე. არსებობს სხვადასხვა სახის ტურისტული აქტივობები,

რომლებიც მისაღებია დაცული ტერიტორიების ბუფერულ ზონებსა და ტურისტულ დერეფნებში, ასევე ტურისტულად საინტერესო რეკრეაციულ ზონებში.

ვინაიდან ტურისტული მომსახურებისა და შეთავაზებების მარკეტინგი ელექტრონული საშუალებებით ხდება, შესაძლებელია ტურისტული მარშრურების ინტერაქტიურ რუკებსა და ტურისტულ პორტალებზე ტყეებთან დაკავშირებული კონტენტის დამატება ეკოტურირიზმისთვის განკუთვნილ ველებში.

აუცილებელია ასეთი ერთობლივი მარკეტინგის ნაკლოვანებებისა და უპირატესობების და შესაძლო კონფლიქტების დეტალური და პროფესიული ანალიზი, რომელიც 2018 წელს უნდა ჩატარდეს.

8.5 დაფინანსების მოდელის შემუშავება

მას შემდეგ, რაც დადასტურდება პირველი გეგმების ტექნიკურად განხორციელების შესაძლებლობა, საჭირო იქნება ტყეებსა და მათ გარშემო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო დაფინანსების ინოვაციური მოდელების შემუშავება. ქალაქებსა და ქალაქების გარეუბნებში არსებული რეკრეაციული ტყეებისთვის დაფინანსების მოძიება შესაძლებელი იქნება სპონსორების, საზოგადოებრივი ფონდებისა და შემოწირულობების საშუალებით. რაც შეეხება პერიფერიულ ადგილებში დაგეგმილ ინფრასტრუქტურას, მისთვის სავარაუდოდ საჭირო გახდება სახსრების მოზიდვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან საბანკო კრედიტი ტყის მდგრადი რეკრეაციული და ტურისტული მოდელების შექმნის გარანტიით. საქართველოში წარმოდგენილია განვითარების ყველა მსხვილი ბანკი, რომლებშიც კერძო კაპიტალიც მონაწილეობს, აუცილებელია თანამშრომლობა ეკონომიკის სამინისტროსა და სოფლის ან ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა სამინისტროების საინვესტიციო საბჭოებსა და სხვა ორგანოებთან.

დაფინანსების და ინვესტირების ამ ზოგად და კონკრეტულ მოდელებზე დაყრდნობით, უნდა მომზადდეს კონკრეტული კურორტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები დაცული ტერიტორიებზე ან მათ მახლობლად მდებარე ისეთი ადგილებისთვის, როგორიცაა, მაგალითად მარტვილისა და ოკაცეს კანიონები.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოცდილებამ აჩვენა, რომ სათანადო წამახალისებელი მექანიზმებისა და ღონისძიებების პირობებსა და ბაზრის სწორი ანალიზის შემთხვევაში, სააგენტოს ბრუნვა და შემოსავალი წლისა და წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება. ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს ყველაზე პერსპექტიულ შესაძლებლობებზე და გაითვალისწინოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოცდილება როგორც პარკების ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ტექნიკური მომსახურების საქმეში, ასევე უკანასკნელ პერიოდში გაცემულ იჯარებსა და ლიცენზიებში.

კარგად უნდა იქნეს შესწავლილი, რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი უკეთესი და მდგრადი შედეგების მიღწევა გონივრული ინვესტიციებით ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ინვესტორების კაპიტალის ზრდასთან ერთად, კერძოდ, კონკრეტული კონტრაქტის/პროექტის/მოდელის აუქციონებზე გატანით (კონცეფცია, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა დაცულ ტერიტორიებზე კონცესიით დონორების მიერ დაფინანსებული სასტუმროების მოწყობის შემთხვევაში), თუ ერთობლივად განხორციელებით.

8.6 ტყეების დივერსიფიცირებული მართვის მოდელის შემუშავება

ცხადია, რომ რეკრეაცია და ტურიზმი საქართველოს ტყის ფონდის ცალკეულ ტერიტორიებს დამატებით პოტენციალს სძენს. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ტყეების სხვა სოციალური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური ფუნქციების გათვალისწინებაც, რასაც მართვის სხვადასხვა მიზნებზე ორიენტირებული, დივერსიფიცირებული მოდელი უზრუნველყოფს. მაღალმთიან ზონებში არსებული დაცვითი ფუნქციის მქონე ტყეების მართვის მოდელი უნდა განსხვავდებოდეს დაბლობის ისეთი ტყეების მართვის მოდელისაგან, რომლებიც მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის წყაროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეროვნული სატყეო სააგენტოს დეპარტამენტებმა უნდა განსაზღვრონ სააგენტოს მართვაში არსებული ტყეების ძირითადი მიზნები და უზრუნველყონ მათი ინტეგრაცია მართვის გეგმებში სტრატეგიული ზონირებისა და არსებული ინფრასტრუქტურისა და რესურსების გათვალისწინებით. მაღალი ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის მქონე ტყეებს შეუძლიათ ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც სასარგებლო იქნება რეგიონის განვითრებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ტყეების შენარჩუნებასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას